

**სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ.“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცედურებს.
3. პროგრამის შემუშავება, განხორციელება და შეფასება ეყრდნობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ბრძანებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

**მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცედურა და წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი მოიპოვებენ და ამუშავებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:
  - ა) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ხალხ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ;
  - ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით;
  - გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექციას/ადმინისტრაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ - პროგრამის ხელმძღვანელს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შემდეგი ტიპის მოდულებს: ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და არჩევითი მოდულები.
4. პროფესიული, საერთო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
5. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.
6. არჩევითი მოდულების ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა. აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები, შეარჩიოს და განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შესაძლოა იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმავი პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.
7. კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განაგრძოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცავს ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცავს დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისთვის.
8. კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს.
9. თუკი მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებული იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.
10. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.
11. კოლეჯი უფლებამოსილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელოს არჩევითი მოდულების გარეშე.
12. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).
13. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
14. როდესაც მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.
15. ერთი და იმავე პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან შესაძლოა ერთი განისაზღვრებოდეს პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევით, ხოლო მეორე - ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით. შემუშავებული პროგრამაში მითითებულ უნდა იყოს პროგრამის განხორციელების მიდგომა/მიდგომები.
16. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1“ მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
17. განსხვავებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა.
18. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და პროგრამის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. მოდულის შემუშავების წესი**

1. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს).
2. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია.

- 3<sup>1</sup>. სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებები დასაშვებია, თუ ის გამოწვეულია კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ/განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით.
4. დამზარებელ ჩანაწერებში ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით.
5. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.
- 5<sup>1</sup>. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი ან წინამდებარე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.
6. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
7. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილ(ებ)ი შესაბამისი აუდიტორიის მითითებით.
8. ტექნიკურ აღჭურვილობაში მიეთითება კოლეჯის მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
9. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.
10. ცენტრის მიერ დამტკიცებული/კოლეჯის მიერ შემუშავებული მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდებული/შემოთავაზებული წყაროების ჩამონათვალს. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის.
11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების ჩართულობით, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

#### **მუხლი 4. მოდულური პროგრამის დამტკიცების წესი**

1. მოდულური პროგრამის დამატების თაობაზე, შესაბამისი მოკვლევისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის, ინიციატორ(ებ)ისა და კომისიის სხვა წევრებისგან.
3. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
4. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
6. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.
7. კომისიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ დღის წესრიგის დადებითად გადაწყვეტილების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
8. კომისიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ დღის წესრიგის უარყოფითად გადაწყვეტილების შემთხვევაში კი, კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსწორებისა და გაუმჯობესების გეგმის შექმნის თაობაზე.
9. დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი, ხოლო დუალური პროგრამის შემთხვევაში - სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება.
10. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია კოლეჯის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

#### **მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა**

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.
- 2<sup>1</sup>. „ინიცირების მომართვიანობის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ.
- 2<sup>2</sup>. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის, ინიციატორ(ებ)ისა და კომისიის სხვა წევრებისგან.
- 2<sup>3</sup>. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
- 2<sup>4</sup>. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- 2<sup>5</sup>. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
- 2<sup>6</sup>. კომისია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შესახებ აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.
- 2<sup>7</sup>. კომისია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შინაარსობრივი (არჩევითი მოდულის დამატების ან ამოღების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების) ან სწავლების მეთოდების ცვლილების შესახებ კონსულტირებას გადის პარტნიორ ორგანიზაციასთან.

- 2<sup>8</sup>. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების ან ცვლილების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.
- 2<sup>9</sup>. კომისიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ დღის წესრიგის დადებითად გადაწყვეტილების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შედის ცვლილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. პროფესიულ სტანდარტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

**მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (დუალური მიდგომით) შემუშავებისა და დამტკიცების წესი**

1. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე და მის დამტკიცებაზე ვრცელდება წინამდებარე წესით განსაზღვრული რეგულაციები.
2. ერთი და იმავე პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შესაძლოა შემუშავდეს ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულური და/ან დუალური მიდგომით. დუალური მიდგომა გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
3. დუალური მიდგომით კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პარტნიორ სასწავლო საწარმოსთან/კომპანიასთან ერთად და აფორმებს ორმხრივ ხელშეკრულებას შემდეგი რეკვიზიტების გათვალისწინებით:
  - ა) სასწავლო საწარმოს/კომპანიის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - გ) სასწავლო საწარმოს/კომპანიისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები;
  - დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
  - ე) პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულები იქნებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში;
  - ვ) სასწავლო პროცესში ჩართულ მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა რაოდენობა;
  - ზ) სასწავლო გეგმა და ცხრილი სწავლის შედეგების გადანაწილების შესახებ;
  - თ) ხელშეკრულების ვადები, შეწყვეტის წესი და სხვა.
4. პროგრამის განხორციელებაში შესაძლებელია ჩართოს ერთზე მეტი სასწავლო საწარმო/კომპანია. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რამდენიმე საწარმოსთან/კომპანიასთან თანამშრომლობით, სასწავლო გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს ყველა საწარმოსთან/კომპანიასთან.
5. ხელშეკრულებას თან უნდა ახლდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო საწარმოს/კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი და ინფორმაცია სასწავლო საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორ(ებ)ის შესახებ.
6. დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა, მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების, სასწავლო საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორების, კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს/კომპანიას შორის სწავლის შედეგების/კრიტერიუმების გადანაწილების შესახებ.
7. სასწავლო გეგმის/ცხრილის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო საწარმოში/კომპანიაში გამოცხადების შესაძლებლობა და სასწავლო პროცესში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.
8. დამტკიცებულ სასწავლო გეგმასა და ცხრილში შესაძლებელია ცვლილება შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, პროფესიული სტანდარტის გაუქმების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის, პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სხვა დაინტერესებული პირის ინიციატივით, დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე.
9. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო საწარმოსთან/კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.

**მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება**

1. წინამდებარე წესი უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მოზხადების ცენტრს“ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით.
3. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:
  - ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;
  - ბ) რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის).
5. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური/დუალური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
6. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.
7. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს.
8. განსაზღვრავს, რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

**მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება**

1. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით.
2. პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების პროცედურები ხორციელდება პროგრამის შემუშავებისათვის წინამდებარე წესის თანახმად.
3. მოდულური/დუალური პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად. მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი ასევე შესაძლებელია იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცია(ებ)ა, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს.

4. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება მოდულურ/დუალურ პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ეცნობს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

#### **მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**

1. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
  - ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;
  - გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.
2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
3. კოლეჯის მიერ განხორციელებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
5. მოდულური პროფესიული პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის.
6. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
  - ა) შეცვლილი/გაუქმებული ან მოდიფიცირებული/ შესაბამისი პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები;
  - ბ) პროგრამის ხელმძღვანელი;
  - გ) ხარისხის მართვის მენეჯერი;
  - დ) სასწავლო პროცესის მენეჯერი;
  - ე) ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.
7. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მიღვეად რეჟიმში.
8. არსებული მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.